„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

საქართველოს ქალთა 83- ე ჩემპიონატის I ლიგა
23 ნოემბერი - 2 დეკემბერი 2025 წ. ქ. თბილისი, საჭადრაკო აკადემია “ოლიმპიური ჩემპიონი”

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
2. ღონისძიების მართვა:
   განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.
3. ჩატარების ვადები და ადგილი:
   23.11-02.12. 2025 წ. ქ. თბილისი, საჭადრაკო აკადემია “ოლიმპიური ჩემპიონი”. ილია ვეკუას ქუჩა 16ა.
4. სისტემა და დროის კონტროლი:
   ტურნირი ტარდება ფიდე-ს წესებით, შვეიცარული სისტემით, 9 ტურად.
   თითოეულს 90 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.
5. განრიგი:

ტური	დღე	საათი
ჩამოსვლის დღე	23 ნოემბერი	
კენჭისყრა	23 ნოემბერი	20:00
გახსნა	24 ნოემბერი	13:45
I ტური	24 ნოემბერი	14:00
II ტური	25 ნოემბერი	14:00
III ტური	26 ნოემბერი	14:00
IV ტური	27 ნოემბერი	14:00
V ტური	28 ნოემბერი	14:00
VI ტური	29 ნოემბერი	14:00
VII ტური	30 ნოემბერი	14:00
VIII ტური	1 დეკემბერი	14:00
IX ტური	2 დეკემბერი	14:00
დახურვა	2 დეკემბერი	18:00

6. მონაწილენი:
6.1. ტურნირში დაიშვებიან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები.
6.2. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2025 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი (**დანართი 1**) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/ZGdjH68jACZ7R5v28
მოჭადრაკეთა და მათ მწვრთნელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დაბინავება, კვება, სატურნირო შესატანი) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
7. კვალიფიკაცია: ტურნირში დაითვლება ფიდე-ს რეიტინგი.
8. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:
   მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/k2EED1Kipo7SSd5s8 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ჩემპიონატის საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2025 წლის 21 ნოემბერი 18.00 საათამდე:
ნატა ალავიძე: -ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE34BG0000000129766701.
- თითოეული მონაწილის სატურნირო შესატანია 50 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
- დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში სატურნირო შესატანია 100 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
- საერთაშორისო დიდოსტატები და ოსტატები განთავისუფლებულები არიან სატურნირო შესატანისგან.
- რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

9. თაი- ბრეიქი:
ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

10. დაჯილდოება:
- I ადგილზე გასული მოჭადრაკე დაჯილდოვდება თასით, მედლით და დიპლომით.
- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლით და დიპლომით.
- I-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაიშვებიან საქართველოს ქალთა 83 - ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

11. საქართველოს ქალთა 83 - ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა:
უმაღლესი ლიგა გაიმართება 2026 წელს. უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობას, ჩატარების სისტემას და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება აქვთ:
1. საქართველოს ქალთა 82-ე ჩემპიონატის 1-3 პრიზიორებს;
2. საქართველოს 2025 წლის ქალთა პირველი ეროვნული ნაკრების წევრებს;
3. პირველ ლიგაზე I-III ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს;
4. 20 წლამდე ასაკის (2005 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულები) გოგონათა შორის, 2025 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით სტანდარტულ ჭადრაკში ყველაზე მაღალი ფიდეს აქტიური რეიტინგის მქონე 2 მოჭადრაკეს. თანაბარი რეიტინგის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება წინა თვის, 1 ოქტომბრის ფიდეს რეიტინგი და ა. შ.;

უმაღლესი ლიგის ვაკანტური ადგილები შეივსება I ლიგიდან მომდევნო ადგილზე გასული მოჭადრაკით.

12. საერთო წესები:
- ტურის დაწყებიდან 60 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.
მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

13. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:
სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - სალომე სირაძე